

# ნათია ლაპიაშვილი

ევროკავშირი საქართველოს მართლმსაჯულების  
სისტემის გაუმჯობესებისკენ მოუწოდებს:  
დემოკრატია და დავების მოგვარება

## აბსტრაქტი

დემოკრატიის განმტკიცება ნებისმიერ იურისდიქციაში, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ეფექტურ და დამოუკიდებელ სასამართლო სისტემასთან. სამართლიანი და ჯეროვნად ფუნქციონირებადი სასამართლო სისტემის არსებობა საქართველოსთვის კვლავაც გამონეგად რჩება, რაც დაადასტურა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის (“AFET”) მომზადებულმა ანგარიშმა. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სხვადასხვა მთავრობების დროს დავების გადაჭრის მექანიზმებთან დაკავშირებით რამდენიმე რეფორმა გატარდა, მათ შორის, გააუმჯობესეს იქნა ისეთი იდეები, როგორებიცაა განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმის მქონე განსაკუთრებული ეკონომიკური ზონ(ებ)ის შექმნა, კომერციული და საგადასახადო სასამართლოების/პალატების ჩამოყალიბება ან/და საერთაშორისო რეპუტაციის საარბიტრაჟო ინსტიტუტის ადგილობრივი ფილიალის დაარსება. თუმცა, მიუხედავად წარსულში რამდენიმე მცდელობისა, კვლავ რჩება კრიტიკა ქვეყანაში მართლმსაჯულების სისტემის გამართულობისა და ხარისხის მიმართ და შესაბამისად, ჯერ კიდევ წინაა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს დავების მოგვარების ეფექტური სისტემის დასაწესებლად.

**საკვანძო სიტყვები:** ევროკავშირი, საქართველო, სასამართლო, არბიტრაჟი, რეფორმები

## §1. შესავალი

### საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის სტატუსი და კრიტიკა სასამართლო სისტემასთან დაკავშირებით

2018 წელს ევროპარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტმა (“AFET”) გამოაქვეყნა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის არსებული მდგომარეობის შეფასება, რომელიც მიმოიხილავდა, ერთის მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის და, მეორეს მხრივ, საქართველოსთან ასოცირების შესახებ შეთანხმების („საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“) იმპლემენტაციის კუთხით არსებულ მდგომარეობას.<sup>1</sup> ზოგადად, იმპლემენტაციის პროცესის დადებითად შეფასების პარალელურად, AFET-მა ასევე განსაზღვრა სფეროები, რომლებიც საჭიროებენ დამატებით ძალისხმევებს საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მიზნით.<sup>2</sup> AFET-ის პრეს სამსახურის ინფო-

<sup>1</sup> ასოცირების შეთანხმება, ერთის მხრივ, ევროკავშირსა (“EU”) და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანების და მათ წევრ სახელმწიფოებს და, მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ძალაში შევიდა 2016 წლის 1-ლ ივლისს.

<sup>2</sup> ევროპარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი, დოკუმენტები AFET/8/11788 საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/>

რმაცით, ევროპარლამენტის წევრებმა აღნიშნეს, რომ საქართველოში კვლავაც საკვანძო პრობლემად რჩება „მაღალი დონის კორუფცია, სასამართლო სისტემის სრული დამოუკიდებლობისა და მედიის დე-პოლიტიზაციის“ საკითხები.<sup>3</sup>

საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ ანგარიში მომზადდა ევროპარლამენტის წევრის - ანდრეს მამიკინის მიერ, რომელმაც განსაკუთრებით დაბალი შეფასება მისცა საქართველოში დემოკრატიისა და მართლმსაჯულების სფეროში განხორციელებულ რეფორმებს.<sup>4</sup> 2018 წლის 13 ნოემბერს ევროპარლამენტის პლენარულ სხდომაზე ანგარიშის გარშემო გამართული დისკუსიებისა და დებატების დროს, ევროპის სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარმა - იოჰანეს ჰანმა განაცხადა, რომ ანგარიშმა აჩვენა საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის კუთხით მიღწეული პროგრესი, თუმცა, ასევე აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობამ უნდა გააგრძელოს მუშაობა სამართალდამცავ სფეროსა და სასამართლო რეფორმებზე.<sup>5</sup>

გარდა ზემო აღნიშნულისა, საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ ანგარიში ევროპარლამენტი „აღიარებს საქართველოს შედეგებს დაბალი და საშუალო დონის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში, რის შედეგადაც შესაბამის შეფასების ინდექსებში საქართველო კარგ რეგიონალურ რეიტინგებს იკავებს; ამავდროულად, მითითებულია, რომ მაღალი დონის ელიტური კორუფცია კვლავაც სერიოზულ პრობლემად რჩება... და ხაზს უსვამს, რომ კორუფციასთან ბრძოლა მოითხოვს დამოუკიდებელ სასამართლო სისტემას და კორუფციის საქმეთა გამოძიების თვალსაჩინო შედეგებს, რომელიც ჯერ კიდევ დასადაგენია;“<sup>6</sup> ევროკავშირის პარლამენტი ითვალისწინებს „მიმდინარე სასამართლო რეფორმასა და სასამართლო სისტემის მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის კუთხით გადადგმულ ნაბიჯებს, მაგრამ იხსენებს ვენეციის კომისიის შემფოთებას იმ შემთავაზებულ საკანონმდებლო ცვლილებებთან დაკავშირებით, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საქართველოს საპროკურორო საბჭოს პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს; იგი მოუწოდებს საქართველოს, გაატაროს ყველა საჭირო ზომა მართლმსაჯულების სისტემის გაძლიერებისთვის – [...], ასევე ... გამჭვირვალობის უზრუნველყოფის, განსაკუთრებით, მოსამართლეთა შერჩევის, დანიშვნისა და დანიშნულების, ასევე, დისციპლინური სამართალწარმოების თვალსაზრისით.“<sup>7</sup>

ევროკავშირის მთავარი საკანონმდებლო ორგანო, ასევე, მოუწოდებს „საქართველოს ხელისუფლებას, გადადგას შემდგომი ნაბიჯები ადამიანის, განსაკუთრებით, მონყვლადი ჯგუფების უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დასაცავად, მათ შორის, სიძულვილის ენისა და დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის გზით, და ასევე, შრომის ბაზარზე შრომის კოდექსში ცვლილებების შეტანის მეშვეობით.“<sup>8</sup>

შესაბამისად, სამართლიანი და ჯეროვნად ფუნქციონირებადი სასამართლო სისტემის არსებობა საქართველოსთვის კვლავაც გამოწვევად რჩება. დემოკრატიის განმტკიცება ნებისმიერ იურისდიქციაში, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ეფექტურ და დამოუკიდებელ მართლმსაჯულების სისტემასთან. აღსანიშნავია, რომ საქართველოში სხვადასხვა მთავრობების დროს რამდენიმე სასამართლო რეფორმა გატარდა, თუმცა, ქვეყანაში ჯერ კიდევ ისმის მნიშვნელოვანი კრიტიკა ქვეყნის სასამართლო სისტემის ეფექტურობისა და ხარისხის მიმართ. კრიტიკის საფუძველს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს:

[committees/en/afet/draft-reports.html?ufolderComCode=AFET&ufolderLegId=8&ufolderId=11788&source=&linkedDocument=rue&urefProcYear=&urefProcNum=&urefProcCode=](https://committees/en/afet/draft-reports.html?ufolderComCode=AFET&ufolderLegId=8&ufolderId=11788&source=&linkedDocument=rue&urefProcYear=&urefProcNum=&urefProcCode=)

<sup>3</sup> ევროპარლამენტის ოფიციალური ვებ-გვერდი, ახალი ამბები, პრეს რელიზი “ევროკავშირის ასოციაციის ძალისხმევა: ევროპარლამენტარები აქებენ საქართველოს და აკრიტიკებენ მოლდოვას” - ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/news/en/press-room/20181009IPR15403/eu-association-efforts-meps-praise-georgia-and-criticise-moldova>.

<sup>4</sup> საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ ანგარიში (2017/2282(INI)), საგარეო საქმეთა კომიტეტი, მომხსენებელი: ანდრეს მამიკინი, A8-0320/2018, Dated 15.10.2018, ხელმისაწვდომია: <http://www.europarl.europa.eu/sides/getDoc.do?pubRef=-//EP//NONSGML+REPORT+A8-2018-0320+0+DOC+PDF+V0//EN>.

<sup>5</sup> ახალი ამბების სააგენტო “Agenda.ge”, “პარლამენტის წევრი საქართველოს რეგიონის ვარსკვლავს უწოდებს ევროპული ფასეულობებისადმი ერთგულებისთვის” - 14 ნოემბერი, 2018, ხელმისაწვდომია: <http://agenda.ge/en/news/2018/2394>; ასევე, იხ. ახალი ამბების სააგენტო “Civil.ge”, “პარლამენტის წევრის პოზიტიური შეფასება საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით”; 10/10/2018, at <https://civil.ge/archives/257777>.

<sup>6</sup> ანგარიში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ (2017/2282(INI)), იხ. ზემოთ, შენიშვნა 5, პ. 21.

<sup>7</sup> ანგარიში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ (2017/2282(INI)), იხ. ზემოთ, შენიშვნა 5, პ. 24.

<sup>8</sup> ანგარიში საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების იმპლემენტაციის შესახებ (2017/2282(INI)), იხ. ზემოთ, შენიშვნა 5, პ. 34.

სასამართლო გადაწყვეტილების შედეგების არაპროგნოზირებადობა, მოსამართლეთა პროფესიონალიზმის ნაკლებობა (ეს შეიძლება იყოს დაბალი ხელფასიდან გამომდინარე), მოსამართლეთა რაოდენობრივი დეფიციტი წელიწადში განსახილველი საქმეების რაოდენობასთან შედარებით, ნეპოტიზმი და ფავორიტიზმი მოსამართლეების დანიშვნისა და გათავისუფლების დროს, მოდერნიზაციის ნაკლებობა და სხვა მიზეზები. ამ ფაქტორების შედეგია მრავალი დაბალხარისხოვანი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, ზოგადად კი - ქართული სასამართლო სისტემისადმი ნდობის ნაკლებობა როგორც უცხოელი ინვესტორების, ისე საქართველოს მოქალაქეების მხრიდან.

## **§ 2. საქართველოში დავების მოგვარების სისტემის რეფორმირების წარსული მცდელობები და სამომავლო პერსპექტივები**

### **ა) კომერციული და საგადასახადო სასამართლოების / პალატების რეფორმა**

ახლო წარსულში საქართველოში ადგილი ჰქონდა დავების მოგვარების სანდო მექანიზმების შეთავაზების გარკვეულ მცდელობებს, რაც ხელს შეუწყობდა კომერციული დავების სწრაფ და ეფექტიან მოგვარებას, განსაკუთრებით, უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით. ამგვარი მცდელობის მაგალითი გახლავთ საქართველოში სპეციალიზებული კომერციული და საგადასახადო სასამართლოების/პალატების შემოღების შესახებ დისკუსიები. ამასთან დაკავშირებით, 2016 წლის ოქტომბერში კერძო სამართლის რეფორმის საბჭომ, რომელიც შედგებოდა იუსტიციის მინისტრისა და სხვადასხვა საჯარო დაწესებულებისა და კერძო დაინტერესებული ჯგუფების წარმომადგენლებისგან, განიხილა იურიდიული ფირმის - შპს "Dechert Georgia LLC" მიერ მომზადებული კონცეფცია კომერციული და საგადასახადო სასამართლოების/პალატების შემოღების შესახებ.<sup>9</sup> ნაშრომი მიმოიხილავს სასამართლო სისტემებს მრავალ სამართლებრივ იურისდიქციაში, მათ შორის, ინგლისსა და უელსში, ირლანდიაში, ჰოლანდიაში, სინგაპურში, საფრანგეთში, აშშ-ში და სხვა იურისდიქციებში. აღნიშნულის საფუძველზე საქართველოს მთავრობისთვის შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები, საჭირო გამოცდილების მქონე უცხოელი მოსამართლეების დაქირავების ჩათვლით.<sup>10</sup> 2017 წლის სექტემბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ პირველი კომერციული პალატა მუშაობას შეუდგებოდა 2019 წლის იანვრიდან.<sup>11</sup>

იმავე წყაროზე დაყრდნობით, დონორები, მათ შორის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), დიდი ბრიტანეთის მთავრობის კარგი მმართველობის ფონდი (UK Government's Good Governance Fund / GGF) და საერთაშორისო თანამშრომლობის გერმანული საზოგადოება (Die Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit / GIZ) გამოთქვამდნენ რეფორმის ფინანსური მხარდაჭერისთვის მზადყოფნას.<sup>12</sup> თუმცა, მოგვიანებით, რეფორმა შეჩერდა და ამ სტაგიაზე მუშაობისას არ გამოცხადებულა შემდგომი გეგმების შესახებ და არც რაიმე საკანონმდებლო ცვლილება განხორციელებულა ამ მიმართულებით.

### **ბ) მაღალი ავტორიტეტის მქონე საერთაშორისო საარბიტრაჟო დაწესებულების ადგილობრივი ფილიალის ჩამოყალიბება**

საქართველოს მთავრობის მხრიდან უცხოური ბიზნეს-დავების მაღალხარისხოვანი და ეფექტური გადაჭრის უზრუნველყოფის შემდგომ მცდელობას წარმოადგენდა მოლაპარაკებები საერთაშორისო სავაჭრო პალატის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოსთან (ICC), რის შედეგადაც გამო-

<sup>9</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია სპეციალიზებული კომერციული სასამართლოების შემოღებასთან დაკავშირებით კერძო სამართლის კომისიის სხდომის შესახებ, 25 ოქტომბერი 2016, ხელმისაწვდომია: <http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=5307>.

<sup>10</sup> კონცეფცია კონფიდენციალურია. ამ სტატიის ავტორი მონაწილეობას იღებდა კონცეფციის შემუშავებაში.

<sup>11</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრის EBRD პრეზიდენტთან შეხვედრის შესახებ; 5 სექტემბერი, 2017, ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6492>.

<sup>12</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია საქართველოს იუსტიციის მინისტრის EBRD პრეზიდენტთან შეხვედრის შესახებ; 5 სექტემბერი, 2017, ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=6492>.

ცხადდა, რომ 2018 წლის 20 დეკემბერს ხელი მოეწერებოდა ურთიერთგაგების მემორანდუმს.<sup>13</sup> ICC-ის პრეს-რელიზში აღნიშნულია, რომ „ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული პირობების საფუძველზე, საერთაშორისო სავაჭრო პალატა და საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებენ, ხელი შეუწყონ საქართველოში ICC დავების განხილვის სერვისების გამოყენებას, მათ შორის, ცნობიერების ამაღლებისა და მარკეტინგული ძალისხმევის გზით. საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით, სათანადო შემთხვევებში, ICC ასევე მიმართავს ძალისხმევას საქართველოში ადგილობრივი, რეგიონული და საერთაშორისო აუდიტორიებისთვის აკადემიური და საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშესაწყობად. ორივე მხარე იღებს ვალდებულებას, აწარმოოს უწყვეტი დიალოგი, ორგანიზება გაუკეთოს ერთობლივ შეხვედრებს და გაააქტიუროს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის მუშაობა შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის პარალელურად.“<sup>14</sup>

როგორც ჩანს, საქართველოს მთავრობა დიდ იმედებს ამყარებს ამ თანამშრომლობაზე. იუსტიციის მინისტრის ოფიციალური განცხადებით, საქართველოს მთავრობა იმედოვნებს, ქვეყანაში შექმნას ICC-ის ადგილობრივი არბიტრაჟის ან წარმომადგენლობითი ოფისი.<sup>15</sup> თუმცა, ICC-ის მხრიდან ოფიციალურად არ დასტურდება, რომ იგი საქართველოში ადგილობრივი საარბიტრაჟო ცენტრის შექმნას გეგმავს, რომელიც თბილისში დავის მოგვარების ისეთივე სერვისებს შესთავაზებს, როგორსაც პარიზში. ამ თვალსაზრისით, ICC-მ ცოტა ხნის წინ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ოპერაციების გაფართოების საკუთარი გეგმების შესახებ ისაუბრა. 2017 წლის ივლისში მან არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში, აბუ-დაბიში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის (MENA) წარმომადგენლობითი ოფისის გახსნის თაობაზე განაცხადა. ოფისი განთავსდება აბუ-დაბის გლობალურ ბაზარზე (ADGM), ემირატების დედაქალაქში, ალ-მარაჰის კუნძულზე არსებულ საერთაშორისო საფინანსო ცენტრში. ეს ნაბიჯი გახლავთ ბოლო დროს გატარებულ რიგ ღონისძიებათაგან უახლესი, რომელიც ICC-მ გადადგა ოპერაციების მსოფლიოს მასშტაბით გაფართოების მიზნით. აღნიშნული ინიციატივა ასევე მოიცავს წარმომადგენლობითი ოფისის გახსნას ბრაზილიაში, როგორც ეს 2017 წლის მაისში გამოცხადდა, და საქმისწარმოების ოფისის შექმნას სინგაპურში, 2017 წლის ივნისში გაკეთებული განცხადების თანახმად.<sup>16</sup>

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ყველა ეს იურისდიქცია უკვე ჩამოყალიბებულია ფართო სპექტრის ბიზნეს-ცენტრების სახით დიდი ოდენობის საარბიტრაჟო დავებით, რაც განვითარებადი ბაზრის მქონე ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველო, ძნელად მიღწევადია. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ამჟამად საქართველოს სამართლებრივ ბაზარზე მხოლოდ ერთი საერთაშორისო იურიდიული ფირმა მოქმედებს (Dentons). მეორე გლობალურმა იურიდიულმა ფირმამ - Dechert-მა - 2017 წელს განაცხადა, რომ საქართველოს ტოვებს. საარბიტრაჟო დავების პოტენციური ოდენობისა და საარბიტრაჟო მომსახურებაზე არსებული მოთხოვნის გარდა, მაღალხარისხიანი იურიდიული მომსახურების არსებობა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა, რომლის გარეშეც, რთულია, წარმოვიდგინოთ საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის წარმატებული ფუნქციონირება.

ICC-გან განსხვავებით, მეორე წამყვან საარბიტრაჟო ინსტიტუტს - ლონდონის საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს (LCIA) ადგილობრივი დავების მოგვარების სერვისებისთვის საერთაშორისო ოფისების გახსნის ხანგრძლივი პრაქტიკა აქვს. მაგალითად, 2008 წელს LCIA-მ დუბაიში დუბაის საერთაშორისო საფინანსო ცენტრის (DIFC) ფარგლებში დააფუძნა DIFC-LCIA საარბიტრაჟო ცენტრი, რომელიც ამ ორი ინსტიტუტის სტრატეგიულ პარტნიორობას ეყრდნობა. DIFC-LCIA საარბიტრაჟო ცენტრი ახორციელებს საერთაშორისო ბიზნეს-დავების ეფექტურ გადაჭრას არბიტრაჟისა და მედიაციის გზით. იგი სთავაზობს ყველა იმ მომსახურებას, რომელსაც ლონდონში LCIA-ის საქმისწარმოების სამდივნო ახორციელებს. DIFC-LCIA-ის წესების თანახმად, LCIA-ის სასამართლოს სამეთვალყურეო როლი ზუსტად ისეთივეა, როგორსაც თავად LCIA-ში ასრულებს საკუთარი წესების შესაბამისად ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა ტრიბუნალების შერჩევა და დანიშვნა, არბიტრებისათვის გამოწვევების და საკონტროლო

<sup>13</sup> ახალი ამბების სააგენტო "Reginfo", 20 ოქტომბერი, 2018, ხელმისაწვდომია: <https://reginfo.ge/economic/item/9815-saqartveloshi-saertashoriso-savachro-palatis-arbitraji-dapuwndeba>; იხ. აგრეთვე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, 17 დეკემბერი, 2018, ხელმისაწვდომია: <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7838>.

<sup>14</sup> ICC ოფიციალური ვებ-გვერდი, მთავარი / News & Speeches / ICC დასაქართველოს მთავრობა აფორმებენ დავების გადაჭრის ხელშეწყობის ურთიერთგაგების მემორანდუმს, ხელმისაწვდომია: <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-government-georgia-sign-dispute-resolution-advancing-mou/>.

<sup>15</sup> საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი, პრეს რელიზი, 4 ოქტომბერი 2018, <http://www.justice.gov.ge/News/Detail?newsId=7785>.

<sup>16</sup> ICC ოფიციალური ვებ-გვერდი, საერთაშორისო სავაჭრო პალატის საარბიტრაჟო საერთაშორისო სასამართლო არაბეთის გაერთიანებული საემიროებში, აბუ-დაბიში ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის (MENA) წარმომადგენლობითი ოფისის ხსნის: <https://iccwbo.org/media-wall/news-speeches/icc-court-establish-mena-representative-office-uae/>.

ხარჯების განსაზღვრა.<sup>17</sup> LCIA India გახლავთ კიდევ ერთი დამოუკიდებელი საარბიტრაჟო ინსტიტუტი, რომელიც 2009 წელს LCIA ქოლგის ქვეშ შეიქმნა ნიუ დელიში. მისი საარბიტრაჟო წესები დაფუძნებულია LCIA წესებზე. LCIA India ახორციელებს ყველა იმ ადმინისტრაციულ სერვისს ინდოეთში, რომელსაც LCIA ბრიტანეთში.<sup>18</sup> ამასთან, როგორც LCIA-მ განაცხადა, 2016 წლის 1-ლი ივნისიდან იგი ინდოეთში მომხმარებელთა საჭიროებებს ლონდონის ოფისიდან, ლონდონის გუნდის მეშვეობით მოემსახურება, მათ შორის, იმათ, ვინც LCIA India-ს წესები აირჩია შესაბამისი ხელშეკრულებებით. აქედან გამომდინარე, დაფუძნების ექვსი წლის შემდეგ, ცხადი გახდა, რომ ინდოელი მხარეები თანაბარი ხარისხით იყენებენ LCIA-ის წესებს და რომ არასაკმარისია მხარეების მიერ ხელშეკრულებაში LCIA India-ს წესების არჩევის პრაქტიკა საიმისოდ, რომ გამართლებული იყოს LCIA India-ს წესების გამოყენების გაგრძელება ინდოეთში ცალკე შეთავაზების სახით.<sup>19</sup> კიდევ ერთი მაგალითი გახლავთ LCIA-MIAC საარბიტრაჟო ცენტრი მავრიკიაში, რომელიც 2011 წელს დაფუძნდა LCIA-ის მიერ მავრიკის მთავრობასთან ერთად ერთობლივი საწარმოს სახით. თუმცა, LCIA და მავრიკიის მთავრობა შეთანხმდნენ, 2018 წლის 27 ივლისიდან შეენწყვიტათ შეთანხმება ერთობლივი საწარმოს შესახებ, რომლის საფუძველზეც მავრიკიაში LCIA-MIAC-ის საარბიტრაჟო ცენტრი დაარსდა. შესაბამისად, 2018 წლის 27 ივლისიდან LCIA-MIAC-ის საარბიტრაჟო ცენტრმა განაცხადა ოპერაციების შეწყვეტის თაობაზე.<sup>20</sup> როგორც ვხედავთ, მაღალი რეპუტაციის მქონე საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტების ადგილობრივი საარბიტრაჟო ცენტრების შექმნა ყოველთვის არ გვირგვინდება ისეთი წარმატებით, როგორც ეს თავიდან ჩანს. შესაძლოა, ამის მიზეზი იყოს ამ არბიტრაჟის მიერ შემოთავაზებული სერვისების სიძვირე. თუმცა, ბიზნესს, რომელსაც შეუძლია ამ საფასურის გადახდა, მგზავრობის ხარჯების დაფარვასაც შესძლებს, რაც უკავშირდება დავების განხილვას საზღვარგარეთ - მაგ. ლონდონში ან პარიზში. არბიტრაჟში ძირითადი ხარჯები მოდის არა მგზავრობასა და ლოჯისტიკაზე, არამედ ინსტიტუციონალურ მოსაკრებლებზე, არბიტრების ჰონორარებსა და ადვოკატების გასამრჯელოებზე. არბიტრაჟის მიერ განუვლი კვალიფიციური მომსახურება არ არის დაბალ ფასიანი. საერთაშორისოდ აღიარებული ბრენდების - როგორცაა ICC და LCIA-ს გამოყენებაც მაღალ ფასებს უკავშირდება, რადგან ეს ინსტიტუტები მაღალი რეპუტაციით სარგებლობენ და მათი საარბიტრაჟო გადამწყვეტილებები უფრო ადვილია სასამართლოებისთვის აღსასრულებლად, ვიდრე სხვა საარბიტრაჟო ცენტრების თუ სპეციალური საარბიტრაჟო ტრიბუნალის გადამწყვეტილებებისა. აქედან გამომდინარე, საბოლოო ჯამში დავების გადაჭრის იმავე სერვისის მიღება ადგილზე შეიძლება არც აღმოჩნდეს მომხმარებლისთვის დიდი უპირატესობა.

### გ) სპეციალური ეკონომიკური ზონები სხვადასხვა სამართლებრივი რეჟიმით

საქართველოში კიდევ ერთ საინტერესო ინიციატივას წარმოადგენს მსჯელობა საქართველოს კონსტიტუციის დებულების შესახებ, რომელიც იძლევა სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის მქონე განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების (Special Economic Zones / SEZ) შექმნის შესაძლებლობას. კერძოდ, ამ ეტაპზე საუბარია ანაკლიის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნაზე. ასეთ ზონებში სპეციალური სამართლებრივი რეჟიმის შემოღება გულისხმობს საქართველოს კანონმდებლობის გარდა სხვა რეგულაციების დანერგვას და, ასევე, ითვალისწინებს დამოუკიდებელი სასამართლო და საარბიტრაჟო სისტემის ჩამოყალიბების აუცილებლობას, რომელიც დავებს განიხილავს ამ რეგულაციების შესაბამისად. ანაკლიის განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შექმნის ამბიციური გეგმა ითვალისწინებს ინგლისის კანონმდებლობის პრინციპებზე დაფუძნებული საერთო სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებას, ასევე, მაღალკვალიფიციური საერთაშორისო მოსამართლეებისა და არბიტრებით დაკომპლექტებული საკუთარი დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის ჩამოყალიბებას კომერციული და სამოქალაქო საქმეებისთვის, რათა საერთაშორისო ბიზნეს კომპანიებმა შეძლონ დავების დროული და ნაკლები დანახარჯებით გადაჭრა. ასეთი მიდგომა საკმაოდ მიღებულია მრავალი განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის, სპეციალური ადმინისტრაციული რეგიონებისა, თუ სხვა თავისუფალი ზონებისთვის მსოფლიო მასშტაბით. ბევრმა ასეთმა ზონამ აირჩია ინგლისის კანონმდებლობა პირდაპირი გამოყენების ან მისი ძირითადი სამართლებრივი პრინციპების კოდიფიკაციის გზით. მაგალითად, ჰონგ-კონგმა და სინგაპურმა ინგლისის კანონმდებლობა კოდიფიკაციის გარეშე გა-

<sup>17</sup> LCIA ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>, იხ. აგრეთვე DIFC-LCIA-ის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.difc-lcia.org/>

<sup>18</sup> LCIA ოფიციალური ვებ-გვერდი, ინფორმაცია ხელმისაწვდომია: <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>, იხ. აგრეთვე LCIA India-ის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.lcia-india.org/>.

<sup>19</sup> LCIA India-ის ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.lcia-india.org/>.

<sup>20</sup> LCIA ოფიციალური ვებ-გვერდი, <http://www.lcia.org/LCIA/international.aspx>, იხ. აგრეთვე LCIA-MIAC ოფიციალური ვებ-გვერდი: <http://www.lcia-miac.org/>.

ავრცელეს საკუთარ ტერიტორიაზე. კერძოდ, სინგაპურის მიერ ინგლისის სამართლის გამოყენება სინგაპურს შესაძლებლობას აძლევს, პირდაპირ მიმართოს ინგლისის პრეცედენტულ სამართალსა და კონკრეტულ საკანონმდებლო აქტებს. ამ მიდგომისგან განსხვავებით, დუბაის საერთაშორისო ფინანსურმა ცენტრმა (DIFC) არაბთა გაერთიანებულ საემიროებში და ასტანას საერთაშორისო საფინანსო ცენტრმა (AIFC) არჩევანი კოდიფიკაციის მიდგომაზე გააკეთეს. AIFC-ის შემთხვევაში, მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა ეყრდნობა ყაზახეთის კონსტიტუციას და გააჩნია სპეციალური სამართლებრივი რეჟიმი, რომელიც ეფუძნება ინგლისის სამართალსა და წამყვანი საერთაშორისო საფინანსო ცენტრების სტანდარტებს.<sup>21</sup> რაც შეეხება DIFC-ს, მას საკუთარი - არაბთა გაერთიანებული საემიროების სამოქალაქო და კომერციული კანონმდებლობისგან დამოუკიდებელი კანონები და რეგულაციები აქვს, რომლებიც მოდელირებულია მსოფლიოს ძირითადი ფინანსური იურისდიქციების საუკეთესო პრაქტიკის მიხედვით და მოიცავს საერთაშორისო საფინანსო და კომერციული სამართლის საუკეთესო ასპექტებს.<sup>22</sup> DIFC სასამართლო ხელისუფლებამ შეიმუშავა საკუთარი წესები, რომლებიც დიდ წილად ინგლისის კომერციულ სამართალს ეფუძნება, თუმცა, იქ, სადაც DIFC კანონმდებლობა დუმს (მაგ. ინტელექტუალური საკუთრების სფერო), ინგლისისა და უელსის კანონი პირდაპირ მოქმედებს.<sup>23</sup>

მიზეზი, რის გამოც DIFC-მ არაბთა გაერთიანებულ საემიროებში მოქმედი კონტინენტური სამართლის სისტემის ნაცვლად უპირატესობა ინგლისის სამართალს მიანიჭა, გახლავთ ის, რომ კონტინენტური სამართალი მოსამართლეებს მოქმედების მეტ თავისუფლებას ანიჭებს; აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისის სასამართლოებმა ჯერ კიდევ 500 წლის წინ დანერგეს სამართლიანობის პრინციპი სამართლებრივი ფორმალობებით გამოწვეული უსამართლო შედეგების შემცირების მიზნით, თუკი ამგვარ შედეგს ადგილი ექნებოდა.<sup>24</sup> არსებობს მრავალი სხვა უპირატესობა, რომელიც ინგლისის სამართლის სასარგებლოდ შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად, ინგლისის სამართალი დომინირებს საერთაშორისო კომერციულ კონტრაქტებში, რადგან იგი ითვლება ბიზნესისადმი ყველაზე მეგობრულ კანონმდებლობად. იქიდან გამომდინარე, რომ საქმე გვაქვს უმეტესწილად მოსამართლეების და არა პარლამენტის მიერ შემუშავებულ კანონებთან, იგი სწრაფად ახდენს ადაპტირებას ცვალებად ბიზნეს რეალობებთან. გარდა ამისა, ინგლისის სამართალი არის ერთადერთი სამართალი, რომელიც გამიზნულად იქნა დანერგილი სხვადასხვა არსებულ იურისდიქციაში.

დღესდღეობით, ყველა ძირითად ფინანსურ ცენტრს არეგულირებს საერთო სამართალი, რომელიც ინგლისის კანონმდებლობის პრინციპებზე დაყრდნობით მოქმედებს ძლიერი სასამართლო სისტემის, არბიტრაჟისა და მედიაციის ინსტიტუციების მეშვეობით. აღნიშნული სამართლებრივი სისტემისთვის დამახასიათებელია სასამართლო დავების შედეგების პროგნოზირებადობა არსებული პრეცედენტების საფუძველზე და მოსამართლეთა მიერ კანონმდებლობის ფართო ინტერპრეტაციის ძალაუფლების შეზღუდვა; ეს არის ფაქტებზე დაფუძნებული სამართლებრივი სისტემა, რაც ნიშნავს იმას, რომ არ არის აუცილებელი იყო იურისტი, რათა დავის შედეგები განჭვრიტო, რადგან ეს შესაძლებელია ანალოგიური პრეცედენტების ფაქტების გათვალისწინებით. დავების განხილვის პროცედურებში ოფიციალურ ენად ინგლისური ენის გამოყენება, სახელშეკრულებო თავისუფლებისა და მხარეთა ავტონომიის პრინციპების უკეთესი დაცვა, რაც კონტრაქტების შედგენისას მეტი მოქნილობის შესაძლებლობას იძლევა - ყველა ეს ფაქტორი ინგლისის სამართალს საერთაშორისო ბიზნეს კომპანიებს შორის ყველაზე პოპულარულსა და ნაცნობ სამართლად აქცევს. სწორედ, აღნიშნული მიზეზები ცხადყოფს, თუ რატომ შეიძლება გახდეს მარეგულირებელი კანონმდებლობის სახით ინგლისის სამართლის დანერგვა და ამ სამართლებრივ პრინციპებზე დაყრდნობით დავების მარეგულირებელი ძლიერი ინსტიტუციების შექმნა ამგვარ თავისუფალ ზონებში უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორების მოზიდვის ძლიერი სტიმული. სასამართლო / საარბიტრაჟო ინსტიტუტების ეფექტური ფუნქციონირება და კანონის უზენაესობა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, სტაბილურობას, პროგნოზირებადობასა და თანმიმდევრულობას, ეს კი უკიდურესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი ბიზნეს-სუბიექტისათვის.

<sup>21</sup> Philip Kim (Herbert Smith Freehills), ასტანას საერთაშორისო ფინანსური ცენტრი: AIFC სასამართლო და საერთაშორისო საარბიტრაჟო ცენტრის იურიდიული სისტემები ინგლისის საერთო კანონებს უნდა ეფუძნებოდეს; 6 აგვისტო, 2017; ხელმისაწვდომია: <http://arbitrationblog.kluwerarbitration.com/2017/08/06/astana-international-financial-centre-aifc-court-international-arbitration-centre-legal-systems-based-english-common-law/>.

<sup>22</sup> Andrew Tarbuck & Chris Lester, დუბაის სამართლებრივი სისტემა, გამომცემლობა Motivate Publishing, 2009, ხელმისაწვდომია: <https://www.lw.com/thoughtleadership/dubai-legal-and-regulatory-system>.

<sup>23</sup> Joshua Rozenberg, ბრიტანეთის კანონმდებლობა ოაზისია დუბაიში; 2 თებერვალი, 2006, ხელმისაწვდომია: <https://www.telegraph.co.uk/news/uknews/4198952/British-law-is-oasis-of-reassurance-in-Dubai.html>.

<sup>24</sup> იქვე.

### §3. დასკვნები

სასამართლო დამოუკიდებლობა კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის საფუძველია. სასამართლო სისტემის ეფექტურობა ფასდება იმით, თუ როგორ უზრუნველყოფენ სასამართლოები ადამიანის უფლებების, მათ შორის, ქონებრივი უფლებების დაცვას, როგორ უწყობენ ხელს დავების მშვიდობიან მოგვარებას და როგორ აძლევენ შესაძლებლობას მოქალაქეებს, უზრუნველყონ საკუთარი მთავრობის ანგარიშვალდებულება მათ ქმედებებზე. ამასთან, კანონების სამართლიანი გამოყენებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების დაუყოვნებლივი აღსრულების გზით, ეფექტური სასამართლო სისტემა ხელს უწყობს უცხოურ და შიდა ინვესტიციებს, კერძო სექტორის განვითარებას და ეროვნულ კონკურენტუნარიანობას, რაც, თავის მხრივ, განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას.<sup>25</sup> სამართლიანი სასამართლო მოქალაქეთა ფუნდამენტური უფლებაა, ამავდროულად, ეს გახლავთ ბიზნესის სუბიექტების მიერ ნდობისა და ეკონომიკის განვითარების მამოძრავებელი ფაქტორი.<sup>26</sup> ამასთან, საქართველოს მიერ ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების კუთხით სხვადასხვა სამართლებრივ სფეროებში მიღწეული პროგრესი შეიძლება შეფერხდეს სამართლიანი და კარგად ფუნქციონირებადი სასამართლო სისტემის გარეშე, რომელიც უზრუნველყოფს დაახლოებული კანონების დაცვას და მათი დარღვევისას შესაბამისი სანქციების ამოქმედებას. მართლმსაჯულების ხარისხის გაუმჯობესება შეიძლება მიღწეულ იქნეს სასამართლოებსა და დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ მექანიზმებთან დაკავშირებული რეფორმების მეშვეობით. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო სისტემა თავის თავში მოიცავს ინსტიტუტებისა და ინდივიდების ფართო სპექტრს, რეფორმა უნდა განხორციელდეს მრავალმხრივი ჩართულობის გზით.<sup>27</sup> როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო აგრძელებს ცვლილებების სხვადასხვა ვერსიის განხილვას სასამართლო სისტემის სრულყოფის მიზნით. სამწუხაროდ, და მიუხედავად წარსულში რამდენიმე მცდელობისა, ჯერ კიდევ წინაა მნიშვნელოვანი რეფორმები, რომელიც საქართველომ უნდა განახორციელოს დავების მოგვარების ჭეშმარიტად სამართლიანი და ეფექტური სისტემის დასაწერად.<sup>28</sup>

<sup>25</sup> მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, სასამართლო რეფორმა; იხ.: <http://web.worldbank.org/archive/website00912B/WEB/OTHER/0052E4CB.HTM?>

<sup>26</sup> ევროპული კომისია, The Quality of Public Administration “Toolbox”, თემა 7: Quality justice systems, აგვისტო, 2017, იხ.: [file:///C:/Users/User/Downloads/09%20T2017%20Theme%207%20Justice%20systems\\_web.pdf](file:///C:/Users/User/Downloads/09%20T2017%20Theme%207%20Justice%20systems_web.pdf).

<sup>27</sup> მსოფლიო ბანკის ოფიციალური ვებ-გვერდი, სასამართლო რეფორმა; იხ.: <http://web.worldbank.org/archive/website00912B/WEB/OTHER/0052E4CB.HTM?>

<sup>28</sup> სტატია შესრულებულია დოქ. ნათია ლაპიაშვილის მიერ; ბაზელის უნივერსიტეტი, შვეიცარია, შედარებითი სახელმწიფოებრივი სამართლის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი; LL.M. ფენევის უნივერსიტეტი, შვეიცარია, საერთაშორისო დავების მოგვარების მაგისტრი; LL.M. რიგის უმაღლესი იურიდიული სკოლა, ლატვია, საერთაშორისო საჯარო და ევროკავშირის სამართლის მაგისტრი; საქართველოს უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი; კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი; გრენობლის უნივერსიტეტის მონღეული პროფესორი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ევროკავშირის სამართლებრივი მოდულის ხელმძღვანელი; ევროპული კვლევების ინოვაციური მეთოდის სწავლების ცენტრის კოორდინატორი.